



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31213612

თარიღი:27/12/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №75

2021 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ქალაქ ლანჩხუთში თავისუფლების ქუჩაზე არსებული N2 ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩაზე არსებული N2 ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილებით განსაზღვრული ვადის შემცირება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

